

**შპს „ბლუ უოთერსის“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება**

(31 დეკემბრის მდგომარეობით)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	2
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	3
1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა	3
2. შედგენის საფუძველი.....	3
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	6
5. ძირითადი საშუალებები	8
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
8. მარაგები.....	9
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
10. შემოსავალი რეალიზაციიდან	10
11. რეალიზაციის თვითღირებულება	10
12. სხვა საოპერაციო ხარჯი	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	272,777	55,278
		<u>272,777</u>	<u>55,278</u>
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	13,240	335,772
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	375,673	302,053
მარაგები	8	467,671	225,630
სხვა მიმდინარე აქტივები		17,160	24,096
		<u>873,744</u>	<u>887,551</u>
სულ აქტივები		<u>1,146,521</u>	<u>942,829</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	336,521	212,200
მოკლევადიანი სესხები		28,944	82,677
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		7,351	6,815
		<u>372,816</u>	<u>301,692</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		546,157	409,926
		<u>546,157</u>	<u>409,926</u>
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		227,548	231,211
		<u>227,548</u>	<u>231,211</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>1,146,521</u>	<u>942,829</u>

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ბლუ უოთერსის“
დირექტორი ირაკლი ლურსმანაშვილი



თანდართული შენიშვნები 3-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	272,777	55,278
		272,777	55,278
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	13,240	335,772
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	375,673	302,053
მარაგები	8	467,671	225,630
სხვა მიმდინარე აქტივები		17,160	24,096
		873,744	887,551
სულ აქტივები		1,146,521	942,829
მიმდინარე ვალდებულებები			
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	336,521	212,200
მოკლევადიანი სესხები		28,944	82,677
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		7,351	6,815
		372,816	301,692
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		546,157	409,926
		546,157	409,926
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		227,548	231,211
		227,548	231,211
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,146,521	942,829

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ბლუ ეოთერსის“
დირექტორი ირაკლი ლურსმანაშვილი

თანდართული შენიშვნები 3-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	3,580,229	2,091,873
რეალიზაციის თვითღირებულება	11	(1,824,827)	(1,092,914)
საერთო მოგება		1,755,402	998,959
საოპერაციო ხარჯები			
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,099,848)	(417,876)
ცვლელთა და ამორტიზაცია		(44,216)	(4,999)
სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(535,293)	(298,731)
		(1,679,357)	(721,606)
საოპერაციო მოგება		76,045	277,353
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავალი		12,335	2,683
საპროცენტო ხარჯი		(59,629)	(19,720)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		1,940	(2,724)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		3,646	(7,370)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		34,337	250,222
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		34,337	250,222
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის		231,211	27,789
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		34,337	250,222
გამოცხადებული დივიდენდები		(38,000)	(46,800)
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება		-	-
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის		227,548	231,211

თანდართული შენიშვნები 3-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „ბლუ უოთერსი“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შპს „ბლუ უოთერსი“ დაარსდა ქ.თბილისში, 2021 წლის 28 მარტს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404613165. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ელ ენდ ელ ჰოლდინგი“, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404640769.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა :
დირექტორი – ირაკლი ლურსმანაშვილი

შპს „ბლუ უოთერსი“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე, როგორც წამყვანი კომპანია წყლის, ფილტრაციისა და წმენდის სფეროში. კომპანიის მიზანია უზრუნველყოს სუფთა და ეკოლოგიურად უსაფრთხო წყალი ყველასთვის, ამავდროულად იზრუნოს გარემოზე და გაამარტივოს ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება. შპს „ბლუ უოთერსი“ მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსურ გადაწყვეტილებებს წყლის ფილტრაციისა და გაწმენდის სამი ძირითადი მიმართულებით: საკანალიზაციო წყლის გადამუშავება, ინდუსტრიული მასების გადამუშავება და სასმელი წყლის ფილტრაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის II შეს., N 15 კორ. 2, ბინა 33ა.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს (მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს) და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსაძევი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ევრო 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერს: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარს და ევრო 2.9753 ლარს). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით,

თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

3.4 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3.6 მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.7 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.8 გადასახადები

მოგების გადასახადში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის აღარ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი

გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.9 კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3.10 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს განუელი მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

წინამდებარე ანგარიშგების “მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილ აქტივებსა და პასივებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

4.1 სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

4.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა და შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4.3 საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშნულ- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სამშენებლო ხელსაწყოები და მოწყობილობები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრონული მოწყობილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2023 წელი	-	-	3,447	-	4,166	-	-	-	7,613
დამატება	-	-	32,667	-	5,697	1,050	3,232	17,778	60,424
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(7,760)	(7,760)
პერიოდის ცვლათა	-	-	(2,495)	-	(1,731)	(84)	(12)	(677)	(4,999)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2023 წელი	-	-	33,619	-	8,132	966	3,220	9,341	55,278
დამატება	17,724	73,123	36,996	96,380	9,514	-	27,978	-	261,715
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვლათა	(1,216)	(4,765)	(12,700)	(15,595)	(4,031)	(140)	(4,775)	(994)	(44,216)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2024 წელი	16,508	68,358	57,915	80,785	13,615	826	26,423	8,347	272,777

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
საბანკო ანგარიშები	13,240	335,772
	13,240	335,772

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	166,328	142,208
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	129,771	108,338
სხვა მოთხოვნები	79,574	51,507
	375,673	302,053

8. მარაგები

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
მზა პროდუქცია	272,044	162,669
მასალა და ნედლეული	195,627	62,961
	467,671	225,630

9. საჯარო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
საჯარო ვალდებულებები	30,917	47,727
მიღებული ავანსები	271,359	162,934
სხვა ვალდებულებები	34,245	1,539
	336,521	212,200

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	3,580,229	2,091,873
	3,580,229	2,091,873

11. რეალიზაციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
რეალიზაციის თვითღირებულება	1,824,827	1,092,914
	1,824,827	1,092,914

12. სხვა საოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი, 2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წელი
მარკეტინგული ხარჯი	210,479	144,532
საკონსულტაციო ხარჯი	89,519	24,440
იჯარის ხარჯი	60,982	23,610
საბანკო ხარჯი	12,795	8,873
კომუნალურის ხარჯი	10,631	7,022
საგადასახადო ხარჯი	6,678	10,352
სხვა ხარჯები	144,209	79,902
	535,293	298,731